ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 159

“ 26 ” დეკემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.115, №01.15.03.010.114) შპს „გრატო მენეჯერისთვის“ (ს/ნ. 404920387) და შპს „სანისთვის“ (ს/ნ. 406033983) აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №01-4/47 ბრძანების დანართით განსაზღვრულ აღნაგობის პირობებში ცვლილებების შეტანისა და შპს „ხულიგანას“ (ს/ნ. 404386133) მიმართ გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“ და „დ.ზ“ ქვეპუნქტების, 127² მუხლის მე-3 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე, ასევე, „ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.115, №01.15.03.010.114) შპს „გრატო მენეჯერისთვის“ (ს/ნ. 404920387) და შპს „სანისთვის“ (ს/ნ. 406033983) აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №01-4/47 ბრძანების დანართით განსაზღვრულ აღნაგობის პირობებში ცვლილებების შეტანისა და შპს „ხულიგანას“ (ს/ნ. 404386133) მიმართ გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 დეკემბრის №25.2280.2562 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.115, №01.15.03.010.114) შპს „გრატო მენეჯერისთვის“ (ს/ნ. 404920387) და შპს „სანისთვის“ (ს/ნ. 406033983) აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №01-4/47 ბრძანების დანართით განსაზღვრულ აღნაგობის პირობებში, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული შეთანხმების გაფორმებამდე პერიოდში, „ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.115, №01.15.03.010.114) შპს „გრატო მენეჯერისთვის“

(ს/ნ. 404920387) და შპს „სანისთვის“ (ს/ნ. 406033983) აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №01-4/47 ბრძანების დანართით განსაზღვრული აღნაგობის პირობების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან შპს „ხულიგანას“ (ს/ნ. 404386133) გათავისუფლების საკითხზე, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

დანართი

შეთანხმება

„ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.115, №01.15.03.010.114) შპს „გრატო მენეჯერისთვის“ (ს/ნ: 404920387) და შპს „სანისთვის“ (ს/ნ: 406033983) აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №01-4/47 ბრძანების დანართით განსაზღვრულ აღნაგობის პირობებში ცვლილებების შეტანისა და შპს „ხულიგანას“ (ს/ნ: 404386133) მიმართ გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე

ქ. თბილისი ___ / _____ / 2025 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში: სააგენტო/მეაღნაგე), წარმოდგენილი [●] მიერ;

მეორე მხრივ, შპს „ხულიგანა“ (ს/ნ: 404386133) (შემდგომში: მოაღნაგე), წარმოდგენილი მისი დირექტორის, [●] მიერ.

შემდეგში ერთობლივად წოდებული, როგორც: მხარეები,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის [●] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის [●] განკარგულებების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას (შემდგომში: შეთანხმება) შემდეგზე:

1. „ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.115, №01.15.03.010.114) შპს „გრატო მენეჯერისთვის“ (ს/ნ: 404920387) და შპს „სანისთვის“ (ს/ნ: 406033983) აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №01-4/47 ბრძანების (შემდგომში: ხელშეკრულება) დანართით განსაზღვრულ აღნაგობის პირობებში (შემდგომში: აღნაგობის პირობები) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
   1.1. აღნაგობის პირობებს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.3-2.4 პუნქტები:
   „2.3 აღნაგობის უფლების მქონე უფლებამოსილია აღნაგობის უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საფეხბურთო მოედნის ნაცვლად მოაწყოს პადელის კორტ(ებ)ი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან შეთანხმებით.
   2.4 პადელის კორტ(ებ)ის მოწყობის შემთხვევაში, აღნაგობის უფლების მქონე ვალდებულია, აღნიშნული უფლების გამოყენების თაობაზე აცნობოს მესაკუთრეს და წარუდგინოს მას პადელის კორტ(ებ)ის მოწყობის დამადასტურებელი

შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მათი მოწყობიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში".

1.2. მოაღნაგე თავისუფლდება აღნაგობის პირობების 3.1 პუნქტის შესაბამისად, 2025 წლის 05 ივლისიდან 2025 წლის 02 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდზე დარიცხული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან, 9 287,10 ლარის ოდენობით.

2. მოაღნაგე თავისუფლდება შეთანხმების 1.2 პუნქტის შესაბამისად გათავისუფლებული სარგებლობის საფასურის გადაუხდელობისათვის წინამდებარე შეთანხმების გაფორმებამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.

3. მოაღნაგე ვალდებულია გადაიხადოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 22 თებერვლის №18.23.50 და 2018 წლის 07 მარტის №18.80.159 განკარგულებებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №58 განკარგულების საფუძველზე განწილვადებული თანხის დარჩენილი გადაუხდელი ნაწილი შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

№	გადახდის თარიღი	ძირი	შენატანი (ლარი)	ნარჩენი (ლარი)
1	15.01.2026	57 864,42	1 600	56 264,42
2	15.02.2026	56 264,42	1 600	54 664,42
3	15.03.2026	54 664,42	1 600	53 064,42
4	15.04.2026	53 064,42	1 600	51 464,42
5	15.05.2026	51 464,42	1 600	49 864,42
6	15.06.2026	49 864,42	1 600	48 264,42
7	15.07.2026	48 264,42	1 600	46 664,42
8	15.08.2026	46 664,42	1 600	45 064,42
9	15.09.2026	45 064,42	1 600	43 464,42
10	15.10.2026	43 464,42	1 600	41 864,42
11	15.11.2026	41 864,42	1 600	40 264,42
12	15.12.2026	40 264,42	1 600	38 664,42
13	15.01.2027	38 664,42	1 600	37 064,42
14	15.02.2027	37 064,42	1 600	35 464,42
15	15.03.2027	35 464,42	1 600	33 864,42
16	15.04.2027	33 864,42	1 600	32 264,42
17	15.05.2027	32 264,42	1 600	30 664,42
18	15.06.2027	30 664,42	1 600	29 064,42
19	15.07.2027	29 064,42	1 600	27 464,42
20	15.08.2027	27 464,42	1 600	25 864,42
21	15.09.2027	25 864,42	1 600	24 264,42
22	15.10.2027	24 264,42	1 600	22 664,42
23	15.11.2027	22 664,42	1 600	21 064,42
24	15.12.2027	21 064,42	1 600	19 464,42

25	15.01.2028	19 464,42	1 600	17 864,42
26	15.02.2028	17 864,42	1 600	16 264,42
27	15.03.2028	16 264,42	1 600	14 664,42
28	15.04.2028	14 664,42	1 600	13 064,42
29	15.05.2028	13 064,42	1 600	11 464,42
30	15.06.2028	11 464,42	1 600	9 864,42
31	15.07.2028	9 864,42	1 600	8 264,42
32	15.08.2028	8 264,42	1 600	6 664,42
33	15.09.2028	6 664,42	1 600	5 064,42
34	15.10.2028	5 064,42	1 600	3 464,42
35	15.11.2028	3 464,42	1 600	1 864,42
36	15.12.2028	1 864,42	1 864,42	-

4. მოაღნაგე თავისუფლდება 2015 წლის 28 აპრილიდან 2017 წლის 28 ოქტომბრამდე პერიოდში გადასახდელი სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დარიცხული პირგასამტეხლოსგან - იმ პირობით, რომ იგი სრულად გადაიხდის წინამდებარე შეთანხმების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ თანხას არაუგვიანეს აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული ბოლო გადახდისათვის განსაზღვრულ ვადაში.
5. წინამდებარე შეთანხმების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გრაფიკის 3 (სამი) თვეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ყოველგვარი გაფრთხილების ან დამატებითი ვადის დაწესების გარეშე. ხელშეკრულების ამ საფუძვლით შეწყვეტის შედეგები დადგენილია აღნაგობის პირობების 8.4 პუნქტით.
6. თუ წინამდებარე შეთანხმების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბოლო გადახდისათვის განსაზღვრულ ვადაში მოაღნაგე სრულად არ გადაიხდის აღნიშნული პუნქტით განსაზღვრულ თანხას, შეთანხმების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება ქარწყლდება და მოაღნაგე ვალდებული იქნება გადაიხადოს 2015 წლის 28 აპრილიდან 2017 წლის 28 ოქტომბრამდე გადასახდელი სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლო - რომელიც მოაღნაგე დაერიცხებოდა აღნიშნული სარგებლობის საფასურის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე) განწილვადების გარეშე.
7. მოაღნაგე ვალდებულია შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, ხელშეკრულების საფუძველზე აღნაგობის უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე (ს/კ: 01.15.03.010.115 და 01.15.03.010.114) უზრუნველყოს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში შეთანხმებით გათვალისწინებული ცვლილების რეგისტრაცია.

8. ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, შეთანხმების მე-7 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია მოაღნაგეს დააკისროს აღნაგობის პირობების 10.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.
9. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.
10. ხელშეკრულების სხვა პირობები, რომლებიც არ იცვლება შეთანხმებით, რჩება უცვლელი. შეთანხმებისა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება შეთანხმებას.
11. შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან. შეთანხმების თითო ეგზემპლარი რჩება მხარეებს, ხოლო ერთი წარედგინება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

ხელმოწერები:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო	შპს „ხულიგანა“ (ს/ნ: 404386133)
[●]	[●]